

ახალი

გზთიადი

„შენიერია ის, ვისაჲ
სამშობლოსათვის უძგერს გული.“



15 - 29 აგვისტო

2013 წელი

№15


№ 8049

ელფოსტა: AxaliGantiadi@gmail.com.

ოფიციალური ქრონიკა

გვ. 32.

განათლებისა და მეცნიერების
მინისტრი თამარ სანიკიძე
ქასპის მუნიციპალიტეტში
გვ. 32.



„ეტიანი საცაბტუელტ ჩუენი სალტცაუია,“

მეხვედრა საქარტველოს სახალხო არბისტ, შოტა
რუსთაველის პრემიის ლაურეატი. კომპოზიტორ
ვაჟა აზარაშვილთან გვ. 32.



იგოეთი-ლაშისყანის გზის რეაბილიტაცია

გვ. 32.



ათსნი — სულის
ძუყყანა გვ. 4-5.



ის
საქარტველოს
საზღვრებს
იჯავდა გვ. 33.



ჩაქომ
გავრმგზვროით
სვანეთში



გამოიწერეთ გაზეთი „ახალი გზთიადი“

როგორ იქმნებოდა სვანეთის
საბანძური გვ. 6-7.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიქიძე
ქასიის მუნიციპალიტეტში




7 ავგისტოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სასირეთის საჯარო სკოლაში მიმდინარე სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

სამიხისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ სასირეთის საჯარო სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები სასწავლო წლის დასრულებისთანავე დაიწყო. უკვე დასრულებულია სკოლის გადახურვა, დამონტაჟდა მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯარა, გამოიცვალა ელექტროგაყვანილობა, ამ ეტაპზე სკოლაში შიდა სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.

მიმდინარე წელს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეში შენდება ახალი სკოლა, 4 სოფლის მოსწავლეები (სამთავისი, საქადავანო, სასირეთი და კავთისხევი) ახალ სასწავლო წელს განაზღვრულ სკოლაში შეხვდებიან.

საქართველოს მასშტაბით სულ 9 სკოლა შენდება და 600-ზე მეტ სკოლას სარეაბილიტაციო სამუშაოები უტარდება.



იბოეთი-ლემისუანის გზის რეაბილიტაცია



აზორციელებს გორის საგზაო სამშენებლო სამმართველო №1. მშენებლობისათვის გამოყოფილია 3000000 (სამი მილიონი) ლარი. პირველ ეტაპზე მოხდა ნიადაგის სტაბილიზაცია რეციკლირების აგრეგატით რაც ითვალისწინებს ასფალტის საფარის ქვეშ ბეტონის მასის დაფენას.

ამჯერად დასრულებულია სამუშაოების 90 %. დაგებულია 9 კმ ასფალტის საფარ შესასვლელები, გზის მიერთარხები და ბილიკები ფეხით მ



გენილია გზისპირა დაზიანებული ღობეები. კომპანია ასრულებს სამშენებლო სამუშაოებს. ასევე ღამის-ანაში კეთდება 2 კეთილმოწყობილი მოსაცდელი.

2013 წლის მაისში მსოფლიო ბანკის მეშვე-
ობით დაიწყო კასპის ბუნეციაპალიტეტში შემაგალი
იგოეთი-ლამისყანის გზის რეაბილიტაცია. სამუშაოებს

**დავნილთა
ჩაგისტრაცია
დაიწყო**

საქართველოს ოპერირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო იწყებს დევნილთა რეესტრაციას 2013 წლის 1 აგვისტოდან 27 დეკემბრის ჩათვლით. რეესტრაციაში მონაწილეობა სავალდებულოა ყველა დევნილისათვის, რომ არ შეუჩერდეთ დევნილის შემწეობა რეესტრაციის დასრულების შემდეგ. იძულებით გადაადგილებული პირები რეესტრაციას გაივლიან იმ რაიონში სადაც არიან დარეგისტრირებული.

რეგისტრაციის გასაწელებად საჭიროა დენილმა წარმოადგინოს დენილისა და პირადობის მოწმობა ან დაბადების მოწმობა არასრულწლოვანთათვის. რეგისტრაციაზე ჩაწერა შესაძლებელია ცხელი ხაზის მეშვეობით.

(032) 2431100

ელენა გოგოლაური,
კასპის მუნიციპალიტეტის
გამგეობის მთავარი სპეციალ-
ისტი საზოგადოებასთან ურთ-
იერთობის საკითხებში.



ჩვენი ქალაქის კულტურის სახლში გაიმართა საქართველოს სახალხო არტისტის, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის, კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის შემოქმედებითი საღამო.

კასპელი მაყურებელი სულაც არ არის განებივრებული ასეთი შეხვედრებით და ცხადია, ძნელი ასახსნელი არ გახლავთ ის დიდი ინტერესი და მოლოდინი, რომელიც ცნობილ და აღიარებულ მუსიკოს— შემსრულებლებთან, ქართული ესტრადის

კულტურის სამინისტროს ეგიდით

**“*ერთიანი წყნოთველოთ
ზენი წლოთცვიძ*”**
**შეხვედრა სეპართველოს სეხელსო არბისტ,
 შოთა რუსთაველის პრევიის ლეარეაბ,
 კომპოზიტიორ ვეპე ახარეშვილთიან**

გარსკვლავებთან შეხვედრას
ახლავს ხოლმე...

კულტურის სახლის
სავსე დარბაზი მქუხარე აპლო-



დისმენტებით, გულითადად შეხვდა საყვარელ კომპოზიტორს, რომლის მუსიკაზე არაერთი თაობა აღიზარდა, მეტიც, ვაჟა აზნაურშვილის მუსიკალური შედეგები, როგორიც არის მაგალითად, “მუსიკა,” “მზე ჩემი კარგი მეგობარია,” “დინამო, დინამო, დინამო!” “ქსოვრელები

მღერიათ” ქართველთა
საგიზიგო ბარათად იქცა...

საკონცერტო პროგრამაში, რომლითაც კომპოზიტორი წარსდგა კასპელი მაყურებლის წინაშე, სჭარბობდა სასიმღერო ჟანრი, თუმცა, მაყურებელი განსაკუთრებით მოიხიბლა და გახალისდა ცნობილი და პოპუ-

ღარული პაროდისტების გა-
მოსვლებით...

მაყურებელი ტაშითა და
ოვაციებით შეხვდა დიდი ხნის
უნახავ მომღერალს, საქართვე-
ლოს სახალხო არტისტს, ლევ-
ენდარულ ანსამბლ “ორერას”
ცნობილ სოლისტს გენო ნა

დასასრული მე-6 გვ. 





ძირძველ ქართულ სოფელ სასირეთში დაბადებულ-აღზრდილი გიორგი მაზნიაშვილი თავისი მოწამებრივი სიცოცხლითა და მოღვაწეობით სისხლხორცეულად არის დაკავშირებული საქართველოს ისტორიის გმირულ ეპოპეასთან... სწორედ მის სახელთან ასოცირდება თავგანწირული ბრძოლები, რომელიც ჩვენმა ხალხმა გადაიტანა იმისათვის, რომ მსოფლიო რუკაზე არ წაშლილიყო საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრები...

საქართველოს გენერლის გიორგი მაზნიაშვილის ღვაწლი და დამსახურება ქვეყნისა და სამშობლოს წინაშე ფართო საზოგადოებამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გაიცნო. გენერლის უკვდავსაყოფად მის მშობლიურ სასირეთში გახსნილი სახლ-მუზეუმი სრულიად საქართველოს საკუთრება გახდა...

გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმს სასირეთში სტუმარი არ ელევ. მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გამოფენილ იშვიათ და უნიკალურ სამუზეუმო ექსპონატებს ინტერესით ათვალიერებენ მოსწავლეები და ახალგაზრდები, დედაქალაქიდან ჩამოსული სტუმრები.

ამას წინათ, კავთისხევის ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმში კიდევ ერთი საინტერესო და შინაარსიანი ღონისძიება ჩატარდა. საქმე ის გახლავთ, რომ დედაქალაქიდან ჩამოსულ სტუმრებს, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებს ორგანიზებული შეხვედრა გაუმართეს კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების წარმომადგენლებმა და ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმის თანამშრომლებმა.

სახლ-მუზეუმის საგამოფენო დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ. შემდეგ ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა ომარ კელაპტრიშვილის მეუღლე ციმი თეზელიშვილი, რომელმაც ისაუბრა ომარის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ღონისძიების მთავარი თემა გახლდათ — “დიდუბის პანთეონის რვა კავთისხეველი ბინადარი”, რომელიც წაითხა ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა მანანა ქვრივიშვილმა. მან საინტერესოდ, საკმაოდ შთაბეჭდავად და დამაჯერებლად წარუდგინა ღონისძიების მონაწილეებსა და სტუმრებს საქართველოს სასიქაღულო მამულიშვილების



ბი. სახლ-მუზეუმში ხშირად ეწყობა სამეცნიერო სესიები, შეხვედრები და გენერლისადმი მიძღვნილი დაგეგმილი ღონისძიებები...

ამ რამდენიმე დღის წინაც გაიმართა სამეცნიერო სესია და გენერლის სახლ-მუზეუმმა ბევრ სტუმარს უმასპინძლა. აღნიშნული ღონისძიება ჩატარდა კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანებისა და მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმის ინიციატივით.

სამეცნიერო სესია შესავალი სიტყვით გახსნა მუნიციპალიტეტის

მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს, დამსწრე საზოგადოებას სესიის მუშაობაში მონაწილეობისათვის.

სამეცნიერო სესიის პირველ საკითხზე ვრცელი მოხსენებით “საქართველოს რევკომი და ბათუმის პრობლემები” — გამოვიდა მაზნიაშვილის



სახლ-მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი ოლია მაისურაძე. დამსწრეთა წინაშე საინტერესო მოხსენებით “სად გადაწყდა ბათუმის ბედი” — გამოვიდა მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნანი დემეტრაშვილი.

სესიაზე წაკითხული მოხსენებების ირგვლივ აზრი გამოთქმეს მოწვეულმა სტუმრებმა, მოსწავლეებმა და პედაგოგებმა. სამეცნიერო სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი ოლეგ იაძე,

მისი მოადგილე ჯამბოლატ ქაშაძე, მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე.

სესიის დასრულების შემდეგ მოწვეულმა სტუმრებმა, მოსწავლეებმა და ახალგაზრდებმა ერთად დაათვალიერეს მუზეუმის საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი ისტორიული ფოტო-დოკუმენტური მასალები.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

პანთეონის ბინადარი ყავთისხევიდან



ის ნიკო ცხვედაძის, გიორგი შატერაშვილის, ვახუშტი კოტეტიშვილის, ომარ კელაპტრიშვილის, მარო და თამარ თარხნიშვილების, ეგნატე ხრამელაშვილის, ანა ჩივაძის ცხოვრების ისტორია, მათი დამსახურება ქვეყნისა და სამშობლოს წინაშე.

ღონისძიებას სტუმრობდნენ: კავთისხევის მკვიდრი, დედაქალაქის პირველი საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე, პროფესორი ანზორ ოთიაშვილი, შპს “რეინტრანს” ჯგუფის გენერალური დირექტორი, ბიზნესმენი ზაზა ლაცაბიძე.

დასასრულს მოწვეულ სტუმრებსა და ღონისძიების ორგანიზატორებს გულითადი მადლობა გადაუხადა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

ათსნი – სულის ძეყანა

საუკუნეთა სიღრმეში დაიბადა სიტყვა “აფს-ნი“, რაც ნიშნავს “სულის ქვეყანას“. სამშობლოს აფხაზები ეძახიან “აფსადგილს“, ანუ “სულის მიწას“, ხოლო ენას – “სულის სიმღერას“. აფხაზები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი უძველესი მოსახლეობაა.

IX-X საუკუნეების აფხაზეთის სამეფო და გაერთიანებული საქართველოს სამეფო, დინასტიათა ცვლის მიუხედავად, წარმოადგენენ აფხაზურ-ქართული სახელმწიფოებრიობის საერთო სტრუქტურებს. აფხაზური მოსახლეობის შემცირება აფხაზეთის ისტორიული განვითარების ადრეულ ეტაპზე განპირობებული იყო არა მარტო შობადობის ინტენსიურობის კლებით, სიკვდილიანობის ზრდითა და მიგრაციით, არამედ დრამატული წარსულით და უწინარესად ისეთი პროცესებით, როგორიცაა თურქეთში აფხაზების იძულებითი გადასახლება ცნობილი სახელწოდებით მაჰაჯირობა (XIX ს.) და მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკა.

აფხაზურ-ქართული ეთნოგრაფიული პარალელები სათავეს იღებს შორეულ წარსულში და მიუთითებს ჩვენი ისტორიული ბედის კულტურულ-გენეტიკურ განუყოფლობაზე. საუკუნეების მანძილზე აფხაზებსა და ქართველებს აბსოლუტურად იდენტური ტრადიციები, წეს-ჩვეულებანი, ყოფა, რელიგია გააჩნიათ.

საუკუნეთა განმავლობაში ჩვენი ხალხები არასოდეს მდგარან ბარიკადების სხვადასხვა მხარეს. ჩვენს საერთო ისტორიულ გზაზე, რა თქმა უნდა, იყო წყენის, უსამართლობისა და გაუგებრობის შემთხვევები, მაგრამ გონებისა და სიკეთის სხივი იმარჯვებდა პროვოკატორთა მცდელობაზე.


და აი, ამჟამად, XXI საუკუნის კარიბჭესთან, მსოფლიო ცივილიზაციის აყვავების, ჰუმანიზმის იდეების, დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების დაცვის როლისა და მნიშვნელობის ამაღლების პერიოდში აფხაზი სეპარატისტების ჯგუფმა, მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია ავტონომიურ რესპუბლიკაში, ხანგრძლივი და საგულდაგულო მზადების შედეგად შეძლო ომის პროვოცირება.

თუ სამოცდაათიან წლებში ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ჩეჩენო-ინგუშეთის, ყალმუხეთის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ყარაჩაევო-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში ადგილობრივი ეროვნების ბავშვთა სწავლება მშობლიურ ენაზე არ წარმოებდა, აფხაზეთში პირიქით, იყო 25 აფხაზური სკოლა, ხოლო უკანასკნელ ხანებში – 73 (აფხაზური და შერეული), რომლებშიც აფხაზურ ენაზე სწავლობდა ოთხი ათასზე მეტი მოსწავლე.

ქალაქ სოხუმში ფუნქციონირებდა: აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აფხაზეთის ეროვნული ტელევიზია, აფხაზეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი, აფხაზეთის სახელმწიფო სამხარეო მუზეუმი, დიმიტრი გულიას სახელობის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი, სიმღერისა და ცეკვის აფხაზური სახელმწიფო ანსამბლი, ცეკვის ანსამბლები: “შარატი-ნი“ და “ერცახუ“, სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა, ქალთა ეოკალურ-ინსტრუმენტული კვარტეტი “გუნდა“, აფხაზეთის უხუცესთა სიმღერისა და ცეკვის ეთნოგრაფიული ანსამბლი “ნართა“. ბევრი შემოქმედებითი კოლექტივი არაერთხელ ყოფილა საგასტროლოდ საზღვარგარეთ, სადაც იგი წარმოაჩენდა ეროვნულ კულტურას.

ფუნქციონირებდა მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, არქიტექტორთა შემოქმედებითი კავშირები, სახელმწიფო სამხატვრო გალერეა, სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, აფხაზეთის თეატრალური საზოგადოება. მშობლიურ ენაზე გამოიცემოდა მხატვრული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ლიტერატურა, გამოდიოდა ჟურნალ-გაზეთები საკუთარი ბეჭდვითი სიტყვის სახლის პოლიგრაფიულ ბაზაზე.

გარდა ისტორიის, ენის, ლიტერატურისა და ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა, ავტონომიურ რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა 20-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება.



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად არჩეული იყვნენ გამოჩენილი აფხაზი მეცნიერები გ. ძიძარია და ზ. ანჩაბაძე.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თვით ვ. არძინ-ბამ, მოსკოვში ოცწლიანი ყოფნის შემდეგ, სადოქტორო დისერტაცია დაიცვა თბილისში... თავისი საკანდიდატო დისერტაცია, ასევე, თბილისში დაიცვა ს. შამბამ.

ომმა აფხაზეთში თვალნათლივ აჩვენა, რომ თავისი ქვეყნის ისტორიის მძიმე წუთებში აფხაზები გაიყვნენ სამ კატეგორიად: ისინი, რომლებიც თავიდანვე არ იზიარებდნენ არძინბასა და მისი დამქაშების ავანტიურისტულ პოლიტიკას, რადგანაც კარგად ესმოდათ, რისი მომტანიც იყო იგი და აშკარად ებრძოდნენ და დღესაც ებრძვიან ამ ბოროტებას. მათ მიაკერეს “გამყიდველებისა და ხალხის მტრების“ იარაღები; იყო მეორე ნაწილი, ისინი ასევე არ იზიარებდნენ ავანტიურას, სეპარატისტებს არ დაუდგნენ გვერდში, მაგრამ აშკარად არ გამოდგნენ მას. ე.ი. აირჩიეს ნეიტრალიტეტი – მოლოდინის პოზიცია. სეპარატისტებს მათ მიმართ ჰქონდათ ნეგატიური დამოკიდებულება პრინციპით: “ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგია“. ისინი შეადგენენ აფხაზი მოსახლეობის უმრავლესობას და გაფანტულნი არიან რუსეთის ქალაქებში. ბევრი მათგანი უკვე მიხვდა, როგორი “აფხაზური სახელმწიფო“ მიიღეს, ვინ ვისზე გაცვალეს. სწორედ მათ წიაღში აღმოცენდა მოძრაობა “მშვიდობიანი აფხაზეთისათვის“, რომელმაც თავის ორ განცხადებაში სასტიკად დაგმო გუდაუთელი სეპარატისტების ავანტიურა და მოუწოდა ხალხებს დაუყოვნებლად შეეწყვიტათ ცეცხლი, დაედოთ სამშვიდობო ხელშეკრულება.

“აფხაზეთის ხსნის კომიტეტმა“ და მოძრაობამ “მშვიდობიანი აფხაზეთისათვის“ გააკეთეს ერთობლივი “მოწოდება აფხაზეთის ხალხებისადმი“, რათა დაუჭირონ მხარი თანხმობასა და მშვიდობას, მშობლიურ კერას დაუბრუნონ ლტოლვილები.

და, ბოლოს, აფხაზთა მესამე კატეგორია. ეს ის ხალხია, რომლებიც იარაღით ხელში დაბრუნდნენ და დაიწყეს თავიანთი მეზობლების, ყოფილი მეგობრების, ნათესავების ძარცვა და ზოცვა.

ამ ტრაგიკულ სიტუაციაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნით აფხაზურ-ქართულ შერეულ ოჯახებს, რომლებსაც სისხლით ნათესაობა აკავშირებთ. სწორედ მათ ევალებათ ჩვენს ხალხებს შორის მშვიდობის მანდილის ჩამოვლება.

აფხაზეთის ომის დაწყებიდან სამი თვის განმავლობაში ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა ცხოვრობდა რეალური აღმასრულებელი ხელისუფლების გარეშე, ფაქტიურად განუკითხაობის ვითარებაში. ამან უარყოფითი გავლენა იქონია მთელ საზოგადოებაზე, განსაკუთრებით მცირერიცხოვან აფხაზ ერზე. ერთი მხრივ, იგი მიატოვა “ღვიძლმა“ აფხაზმა ხელმძღვანელობამ, რომელიც დაუყოვნებლად გაიქცა სოხუმიდან (თუმცა მანამდე შორს იდგა საკუთარი

* დასასრული მე-5 გვ.

„ახალი გზნოიასი..“



* დასასრული

ხალხისგან). მეორე მხრივ, პირველ დღეებში მორღოვებმა ბევრი აფხაზის ოჯახი ააწიოკეს და გაძარცვეს.

1993 წლის იანვარში დაიბადა აფხაზეთის ხსნის მრავალეროვანი კომიტეტის შექმნის იდეა. კომიტეტში შევიდნენ აფხაზი, ქართველი, რუსი, უკრაინელი, სომეხი და სხვა ხალხების წარმომადგენლები, რომლებსაც კარგად ესმოდათ ურთიერთგაგების, ურთიერთპატივისცემისა და ერთიანობის უაღრესად დიდი მნიშვნელობა. კომიტეტი მიზნად ისახავდა აფხაზეთის მოსახლეობის, მათ შორის, პირველ რიგში აფხაზთა და ქართველთა კონსოლიდაციას. კომიტეტი მოქმედებდა პრინციპით: “ადამიანის სიცოცხლე იზომება არა კალენდარულ წელთა რაოდენობით, არამედ პიროვნება ვლინდება მისი საქმეებით”. აქვე საჭიროა ითქვას, რომ გუდაუთის დაჯგუფება დევნიდა და ახლაც დევნის იმ აფხაზებს, რომლებიც არასოდეს იზიარებდნენ, პირიქით, გმობდნენ სეპარატიზმს. სწორედ ამ “ცოდვების” გამო ითვლებოდნენ აფხაზი ხალხის მოღალატეებად და მტრებად.

“რას იზამ, დაე, თვით ხალხმა განსაჯოს, სინამდვილეში ვინ ვინ არის, ვინ არის მეგობარი, ვინ — მტერი, ვის აქვს სისხლიანი ხელები აფხაზი და ქართველი ხალხის გენოციდის გამო, ვინ დაანგრია და გაანადგურა მშვენიერი აფხაზეთის ათასობით ქალაქი და სოფელი“ (რ. მარშანია).

ბევრს, სიყვარული თავისი კონკრეტული სამშობლოსა და ხალხისადმი სხვადასხვანაირად ესმის. “პატრიოტიზმი — მეტად მოკრძალებული გრძნობაა. გაუფრთხილდი წმინდათაწმინდა სიტყვას, ნუ გაჰყვით სამშობლოსადმი სიყვარულის შესახებ ყველა გზავთვარდინზე, ჯობს ჩუმად იღვაწო მისი კეთილდღეობისა და ძლიერებისათვის“ /ა. სუხომლინსკი/.

დარწმუნებული ვარ, აფხაზი ხალხის უმრავლესობამ კარგად გაიგო, რომ მისი ნამდვილი მტრები არიან ისინი, ვინც წამოიწყო ეს ომი, ავანტიურაში ჩაითრია ხალხი და უბედურება მოუტანა აფხაზეთის მთელ მოსახლეობას. მაჰაჯირობის დროიდან (XIX ს.) მოყოლებული აფხაზ ხალხს თავს არ დასტყდომია ასეთი უბედურება, იგი არ მდგარა ფიზიკური განადგურების ისეთ ზღვარზე, როგორც ეს მოხდა ამჟამად, XX საუკუნის მიწურულს.

საქმე ის არის, რომ აფხაზეთი, მისი მოსახლეობა ამ ტრაგედიამდე მიიყვანეს ადამიანებმა, რომლებიც ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ ფსევდოდემოკრატიული გარდაქმნების პერიოდში და მონოთნიკური ნომენკლატურის ზედა ფენის საფუძველზე ჩამოყალიბდნენ.

და ბოლოს, არძინბას ფაქტორზე. ისტორიამ კარგად იცის, რომ აფხაზეთის არც ერთი ხელმძღვანელი (მიუხედავად აფხაზური ინტელიგენციის ნაწილში სეპარატიზმის პერიოდული გამოვლინებისა) არ წასულა ავანტიურის გზით, როგორც ეს გააკეთა ვ. არძინბამ და მისმა გარემოცვამ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფხაზეთის ადრინდელ ხელმძღვანელებს

ათხნი — სულის ძეყანა



კარგად ესმოდათ, თუ რას გამოიწვევდა ორ მონათესავე ხალხს შორის უძველესი ცოცხალი კავშირების ძალდატანებითი გაწყვეტის პოლიტიკა.

ვ. არძინბას ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო მრავალმა ობიექტურმა და სუბიექტურმა ფაქტორმა.

პირველ რიგში, ცნობილია, რომ გენეოლოგია მისი გვარისა — არძინბა — იაზიზა (დედით) არ არის აფხაზური, არამედ ჩრდილო კავკასიური (ადილეური) წარმოშობისაა.

მეორე, სიყმაწვილის წლებში, სტუდენტობისა და ასპირანტურის, ასევე რუსეთში 20 წლის მანძილზე ცხოვრების პერიოდში, აფხაზეთიდან მოწყვეტილს არ ჰქონდა რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი ურთიერთობა ქართველებთან. ვ. არძინბას თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ დასჭირდა ქართველები, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოზე ქართველმა მეცნიერებმა “ლანგარით მიაღწევს” სადოქტორო ხარისხი, როგორც ეს ქართველების ჰუმანურსა და მეგობრებისადმი კეთილგანწყობილ ხასიათს სჩვევია.

მესამე, სეპარატიზმის იდეებით ვ. არძინბა მოიწამლა არა საკუთარი ინიციატივით, ამაში მას დაეხმარნენ “აიდგილარას” იდეოლოგები, რომლებმაც ვ. არძინბაში დაინახეს პათოლოგიური სიძულვილი ქართველებისადმი და ყოველგვარი ქართულისადმი.

მეოთხე, რუსეთის დესტრუქციულმა ძალებმა საქართველოში თავიანთი ინტერესების რეალიზაციისათვის გამოიყენეს ვ. არძინბა, როგორც მარიონეტი, რომ ემოქმედებდა მათი საყვარელი პრინციპით — “დაფავი და იბატონე”.

ყველა ეს ფაქტორი ერთად აღებული უნერგავდა ვ. არძინბას რწმენას დასახული მიზნის შესრულების რეალობაში — დაქირავებულებისა და იარაღის შემწეობით მოეწყობა აფხაზეთი საქართველოსათვის და აეშენებინა “აფხაზეთის სახელმწიფო”, თვითონ კი “ეროვნული გმირი” გამხდარიყო.

რა საშინელ ტრაგედიად მოგვიბრუნდა ყოველივე ეს და, უწინარეს ყოვლისა, რა უბედურება მოუტანა ამან თვით აფხაზ ხალხს — მსოფლიოსათვის ცნობილია.

“ეროვნული გმირის” სახელისა რა მოგახსენოთ, მაგრამ “ჰეროსტრატეს დიდება” რომ ნამდვილად მოიპოვა, დავას არ იწვევს.

ნანა მელაძე, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი. დევნილი ქალაქ სოხუმიდან.



“ერთიანი საქართველო ჩვენი საზოგადოება” შეხვედრა საქართველოს სახალხო არჩილს, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატს, კომპოზიტორ ვაჟა ახარაშვილთან

* დასასრული



დირაშვილს, რომელმაც ჩვეული მანერით შეასრულა საყოველთაოდ ცნობილი საესტრადო სიმღერები და დამსწრე საზოგადოებას იმასაც შეჰპირდა, რომ უახლოეს ხანში “ორერა” სრული შემადგენლობით ჩვენს ქალაქს აუცილებლად ესტუმრება და კონცერტს გამართავს.

ტაში და ოვაციები არ ცხრებოდა დარბაზში, როდესაც სცენაზე გამოდიოდნენ საქართველოს დამსახურებული არტისტები ზურაბ კობეშვიძე და ეთერ



კაკულია, ის კი არა, პოპულარულმა მომღერალმა ქალბატონმა თავისი ერთ-ერთი ცნობილი სიმღერის (“ერთიანი საქართველო ჩვენი საზოგადოება”), შესრულებას დროს მთელი დარბაზიც კი აიყოლია.



მაყურებლები დიდხანს არ უშვებდნენ სცენიდან ქართველ პაროდისტებს, “იუმორინას” ცნობილ სახ-

ეებს ბიძინა მახარაძეს და მერაბ გეგეჭკორს. შემოქმედებით საღამოზე საკუთარი ლექსები წაიკითხა კომპოზიტორის მეუღლემ, პოეტმა მანანა დანგაძემ. კომპოზიტორისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა მუსიკოსის ოჯახის უახლოესმა მეგობარმა, კასპის მკვიდრმა გიორგი (ჟორა) ჩიტალაძემ.

მოულოდნელად საინტერესო იყო საღამოს წამყვანი, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ყოფილი ცნობილი სახე, ქართლოს კასრაძის პარტნიორი ლადო ხელაშვილი, რომელმაც მაყურებლის გან-



საკუთრებული სიმპათია დაიმსახურა. ერთი სიტყვით, კონცერტი ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, მაყურებელს აღარ ეთმობოდა დარბაზის დატოვება. მოკლედ, როგორც იტყვიან, მაღალი დონის კონცერტი ჩატარდა და რაც ყველაზე მთავარია, იქ გაჟღერებულმა კლასიკურმა მუსიკამ, პატრიოტულმა სიმღერებმა და ცნობილმა პოპულარულმა ჰიტებმა ყველა დადებითად დაბუხტა, გაამხნევა, გაამდიდრა და გაახალისა...



კონცერტის ბოლოს სცენაზე ავიდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი ოლეგ იაძე, რომელმაც ყვავილების თაიგულები მიართვა სტუმრებს. მანვე დამსწრეთა სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა სახელოვან მუსიკოს-შემსრულებლებს დაუვიწყარი შესვენებისათვის.

რუსუდან ხეჩუაშვილი.



მარიანა ყიფშიძე

რაც მომავალში საქართველოში ახალი შედეგებითა და წარმატებით

იქ მხოლოდ იმიტომ უნდა გაემგზავრო, რომ ქართული კავკასიონის გრანდიოზული მასშტაბებითა და შემადარწუნებელი დიდებულებით გაოგნდეს. სვანეთი სამყაროს დასაბამს ჰგავს თავისი პირველყოფილებით. წარმოდგენილი უკიდურესობა და ადამიანის სხეულის სიპატარავე თითქოს შეუთავსებელ ერთიანობას ქმნის, ისევე, როგორც მრავალფეროვანი, ჯერუნახავი პაწაწა ყვავილებით სავსე მინდორი და მის თავზე მარადი ყინულით დაფარული ვეება თეთრული. სვანეთში მოსახლე თვალად მშვენიერი ადამიანებიც უშუალოდ და თითქოს შეუცნობელნი არიან. მათი აზროვნების მოდელში, მიუხედავად ღრმა ქრისტიანული რწმენისა, ჯერ კიდევ არსებობს წარმართული ხატები და მითოლოგიები, კოლექტიური საზოგადოების, გარკვეულწილად შემოსაზღვრული კულტურისათვის დამახასიათებელი უცნაური არქექტიპები, რომლებიც ძნელად ეგუებიან თანამედროვე ცივილიზაციის მისწრაფებას რაციონალური წესრიგისაკენ. უმწერლობო ენა, რომელზეც (ქართულთან ერთად) ასაკოვანი სვანების ნაწილი ღღერავს უბნობს, იბერიულ-კავკასიური ოჯახის ქართველურ ენათა განშტოებაა და მკვლევართა მიერ ერთერთ პროტოქართულ ენადაა მიჩნეული. აქაური მითოსური ეპოსი ზოგადქართული ფოლკლორის ნაწილი, ზოგჯერ ძრწოლისმომგვრელი და განსაკუთრებულად ღრმა, საიდუმლო ხატებითა და სიმბოლოებითაა აღსავსე. XXI საუკუნეშიც კი, იგი ყველა სხვა ქართულ მითოსზე უფრო ცოცხალი და მომწუხრელია. ალბათ, ამიტომ, ღღერავს სვანეთში შეიძლება მოისმინოთ ჯიხვზე მონადირე სვანების დამაჯერებელი მონათხრობი, თუ როგორ შემოხვდა მათ გზად ოქროსნაწნავიანი ქალღმერთი დალი...

რაკიდა სტრაბონამდე, ე.ი. I საუკუნემდე, საქართველოს ამ კუთხის შესახებ არაა აღწერილობა არ შემონახულა, ივანე ჯავახიშვილი სვანურ ტოპონიმებზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს, რომ ათასწლეულების წინ, სვანთა და სხვა ქართველურ ტომთა საცხოვრისი უძველესი ქვეყანა ქალდეა (სვანური ხალდე) გახლდათ, საიდანაც ისინი აყრილან და აქ დასახლებულან დიდი ხნით ადრე, ვიდრე არგონავტების ციკლით ცნობილი კოლხეთის ეპოქამდე. ამასთან, «ქართლის ცხოვრება» ამბობს, რომ სვანები კოლხთა მეფეების ქვეშევრდომად სცნობდნენ თავს. სტრაბონის თხრობით, ამ ტომის შვილები იმდენად მრავალნი ყოფილან, რომ მტრის წინააღმდეგ 200 000 მებრძოლის გამოყვანა შეეძლოთ, ხოლო მათს უპრეცედენტო შიდა დემოკრატიაზე ის საკვირველი ამბავი მიუთითებს, რომ სვანეთს, რომელიც 2000 წლის წინ ბევრად დიდ მიწა-წყალს მოიცავდა, 300 რჩეული კაცი სვან შემდგარი საბჭო განაგებდა. უსწრაფეს მდინარეებს, ენგურსა და ცხენისწყალს ოქროს წვრილი ნამცეცხები მოჰქონდა, რომელსაც სვანები წყალში ჩამაგრებული ცხვრის ტყავებით მოიპოვებდნენ. გაქრისტიანებამდე და შემდეგაც, სვანეთი ახლანდელი მუშაობის, უბედოლო მონადირე, მესაქონლე, მრავალ ხმაში მომღერალი, საკვირველი მითოლოგიის შემქმნელი ადამიანების თემთა გაერთიანებით შეკრული სამთავრო გახლდათ. მათი მთავარი კოლხეთ-ლაზიკის, შემდეგ კი ეგრისის მეფეთა ერთგულნი და მორჩილნი იყვნენ, ხოლო ბარში გაგზავნილი ბეწვეულისა და თაფლის სანაცვლოდ, იმ საკმარისსა და საჭირო სურსათს იღებდნენ, რისი მოყვანაც სამი-ხუთი ათასი მეტრის სიმაღლის მწვერვალებთან განფენილ მიწაზე სრულიად მიუღწეველი იყო. XI–XV საუკუნეებში, სვანეთი საქართველოს გაერთიანებული სამეფოს შემადგენელი საერისთავო იყო. როცა ქართული სახელმწიფოს ერთიანობა ირღვევა, სვანები დასავლეთ საქართველოს, ანუ იმერეთის მეფეებს ჰმორჩილებენ. თუმცა შემდგომ, ისიც იყოფა თავისუფალ, სადადიანო და სხვა ფეოდალურ გვართა კუთვნილ ნაწილებად... ისტორიული მისია-საქართველოს მთის საზღვრების დაცვა მტერთაგან, სვანეთს XIX საუკუნის დასაწყისიდან, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ წაერთვა, თუმცა მეორე მსოფლიო ომის დროს, სამხრეთ

* დასასრული მე-7 გვ.



*** დასასრული.**

კავკასიას მომდგარი დამპყრობლისათვის სწორედ სვანეთის ბრძოლები იქცა დაუძლეველ დაბრკოლებად.

ტყეებითა და ფლატეებით დაჭმუჭნული უღელტეხილებიდან არა მხოლოდ ორმწევრვალისანი მოლიცლიცე უშბითა და ცად მიბჯენილი შხარათი (5210 მ) ტკობაა შესაძლებელი, არამედ ამ უკარება ლანდშაფტს შერწყმული ათასწლეული არქიტექტურითაც. კოშკები და სვანური ციხე-სახლები (კოშკის ნაირსახეობანი), რომლებიც სვანეთის სოფლებში თითქოს უხილავ ტიტანურ ხელს ზემოდან ჩამოუშვია და დაუდგამს, თავდაცვითი და ყოფითი ხუროთმოძღვრების გონივრულ შერწყმას წარმოადგენს. საკვირველია, რომ მიწისძვრებსა და საუკუნეებს გადაურჩა ორასამდე ამგვარი ნაგებობა – თითოეული მათგანი ერთი რომელიმე გვარის ან ოჯახის საკუთრება გახლდათ. მის აშენებაში თურმე მთელი სოფელი ან თემი მონაწილეობდა, რადგან ერთი ოჯახი ვერ გასწვდებოდა საჭირო გამწევი ძალისა თუ სანოვავის, სამშენებლო მასალისა და მუშახელის შოვნას. ოთხი ან ხუთი, იშვიათად ექვსსართულიანი, 20-25 მ სიმაღლის ოთხკუთხა ნაგებობები, რომლებიც ერთგვარი გვირგვინით, ქონგურებით ბოლოვდებიან, გამორჩეულად აღმაზნი არიან. თუმცა გაუგებარია, რაღომ შეიძლება იყოს ოთხკუთხა, ვიწრო, მაღალი შენობა ასეთი მშვენიერი. ალბათ, იმ შინაგანი კანონზომიერებისა და ჰარმონიის გამო, რომელიც ხუროთმოძღვრის საიდუმლოებების წყალობით, მათს გამძლეობასა და გამოსადგეობას განაპირობებს. კოშკის ქვედა სართულის უმეტესწილად ყრუ კედლები 1,5 მ სისქისაა და ალბათ, ამიტომაც დგას იგი მიწაზე ისე ძლიერად, თითქოს შეზრდილი. შესასვლელი მეორე სართულის დონეზეა. რაც უფრო სიმაღლეში მიდის კოშკი, მით ვიწროვდება და კედლების სისქეც მცირდება 70-80 სმ-მდე. ბოლო სართულზე საბრძოლო ბაქანია. შიდა სართულები ერთმანეთთან ისეთი კიბითაა დაკავშირებული, რომელიც მოძრავია და მისი ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა შესაძლებელი, ალბათ, თავდაცვითი მოსაზრებების გამო. კოშკი ორმხრივად დახრილი სახურავითაა გადახურული და, რა თქმა უნდა, უხვადაა აღჭურვილი სათოფურებით. კოშკების უმეტესობა რიყის ქვიბითა და ლოდებითაა ნაგები, უშვულში სამშენებლოდ ფიქალსაც იყენებდნენ. კირ-ქვიშაში თურმე რძეში გახსნილ ჭვავის ფქვილს ურევდნენ, რაც კედელს იშვიათ მდგრადობას ანიჭებდა. მეტი სიმტკიცისათვის კედლები განსაკუთრებული ბათქაშით ილესებოდა. ამავე სამშენებლო პრინციპით იგებოდა სვანური ციხე-სახლიც – არა მხოლოდ თავდაცვითი, არამედ საცხოვრებელი შენობა, რომელიც კოშკზე ბევრად დაბალია, სამსართულიანია და უფრო მეტად მასიური. ციხე-სახლის პირველი სართული, ე.წ. მაჩუბი, ფართო და მაღალჭერიანი, ადამიანთა საცხოვრებელი და საქონლის სადგომა. იგი ჩუქურთმიანი ხის კედლითაა გადატყინებული და ვიწრო სარკმლები ამშვენებს. ფიქალებზე მოწყობილი შუა ცეცხლი და ჯაჭვზე ჩამოკიდული დიდი ქვაბი, უხუცესი მამაკაცისათვის განკუთვნილი სიმბოლური ჩუქურთმებით შემკული საზურგისანი სკამი, უხვი ნაკვეთი მორთული ხის სკივრები, კიღობნები, ტახტი, თახჩები და განჯინები—30-50 წევრიანი ოჯახის პატრიარქალური ყოფისა და ცხოვრების წესის უცილობელი ატრიბუტები გახლდათ. მეორე სართული, რომელსაც ქვის ჩაშენებული

კიბით უკავშირდებიან, სამეურნეო დანიშნულებას ასრულებს, მესამე კი ბანია და საბრძოლო-სათავდაცვო მოედანი. ჩანს, ნიჭიერი ოსტატები არა მხოლოდ კოშკებს აგებდნენ, არამედ, რელიეფთან შერწყმულ, დახვეწილ, არაპომპეზურ ტაძრებსაც, რომელთა რიცხვი ასზე მეტია. სვანეთის ქრისტიანული ხუროთმოძღვრება ხაზგასმულად თავმდაბალი და ლაკონური ფორმებითაა გამორჩეული, თანაც, მკვეთრად ინდივიდუალურია. დარბაზული ტიპის, მცირე ერთნაგვიანი ბაზილიკების დიდი

რაცომ გავიმეზვროთ სვანეთში ახუ შოყცნობიროთ სიმზოროთ

ნაწილი X-XIV საუკუნეებშია აგებული შირიმის ნაცრისფერი თლილი ქვებით და მათი ფასადები, უმეტესწილად, სრულიად მოურთავია. ამ არქიტექტურულ სივრცეში გამოირჩევა ზოგიერთი ეკლესია, რომელთა აღმოსავლეთი მხარე წინ წამოწეულია სამი ან ხუთი წახნაგის მქონე კედლით. ძალზე იშვიათად, რომ ტაძრის ფასადზე ცხოველის თავის ბარელიეფი ან დეკორატიული გამოსახულება გამოჩნდეს. თუმცა სვანურ ქრისტიანულ მხატვრობაში გვხვდება ღირს-საცნობარი მიმართულება, რომელიც გამონაკლისს წარმოადგენს მსოფლიო ხელოვნებაშიც. ეს გახლავთ ფასადების ფრესკებით მოხატვა. მცირე ანალოგები მას მხოლოდ გვიანდელ ბალკანურ ხატწერაში მოიძებნება. საზოგადოდ, როგორც ფასადის, ასევე შიდა კედლების მაღალი ოსტატობითა და ნიჭიერებით შესრულებული ფერწერა უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტუროლოგიურ ინფორმაციას გვაწვდის. შიდა კედლებზე ბიბლიურ სიუჟეტებთან ერთად ქტიტორთა გამოსახულებებია. ფასადებზე კი საერო, საბრძოლო სცენები, მათ შორის, ორ ტაძარზე მოსე ხონელის «ამირან-დარეჯანიანის» საგმირო ეპიზოდები. ალბათ, იმიტომ, რომ ამირანის მითი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია სვანურ ფოლკლორულ სიუჟეტებს შორის. დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის ეპოქაში მოღვაწე მეფის მხატვარს, ვინმე თევდორეს, ზემო სვანეთში სამი ეკლესია მოუხატავს: ნაკიფარის, იფარისა და ლაგურკის. XI საუკუნის I ნახევარში ოსტატ გიორგის კი – ნესგუნის ტაძარი. მომხატველთა შორის ერთერთი გამორჩეული და მნიშვნელოვანია მიქაელ მაღლაკელი, რომელსაც მაცხვარიშის ფრესკები იშვიათი კონცეპტუალური გეგმის მიხედვით შეუსრულებია. ჩრდილოეთის კედელზე გამოსახულ დემეტრე I-ს, რომელსაც ხელნი ცად აღუყვრია და ანგელოზი გვირგვინს ადგამს, მეფედ ქრისტე აკურთხებს. გვირგვინოსანს ხმაღს შემოარტყამს ორი ერისთავი რომელთაგან ერთი სვანეთის მთავარი ვარდანისძეა. მთლიანობაში გარე კედლის ეს ფრესკა, განსწავლულობითა და ფაქიზი ოსტატობით შესრულებულ ჯგუფურ პორტრეტს წარმოადგენს. არც ზემოხსენებული მხატვრობა, არც უნიკალური ხუროთმოძღვრება და არც ფანტასტიკური ლანდშაფტი არ არის ისეთი ჩინებული, მრავალრიცხოვანი და გასაოცარი, როგორიც – სვანეთის განძი. როცა იგი სხვადასხვა ეკლესიებში ინახებოდა, ღრმად მორწმუნე სვანური თემის მიერ საგანგებო მცველები ჰყავდა მიჩენილი. ნებისმიერი დიდი ქვეყანა ამაყი კი არა, ამპარტავანი იქნებოდა, ეს ნიმუშები მისი საკუთრება რომ ყოფილიყო. ხელოვნების შეუდარებელი ნაწარმოებები ხან ადგილობრივ ოსტატ-

თა მიერ იქმნებოდა, ხანაც ომიანობის დროს გადარჩენისა და შენახვისათვის ბარიდან გაიხიზნებოდა ხოლმე. ასე შეიქმნა სვანეთის საგანძურად წოდებული ფენომენი, რომელიც, პირობითად, შესაძლოა რამდენიმე ნაწილად დაიყოს:

1. ძველი ქართული სამწერლობო სკოლის შეუდარებელი ძეგლები– წიგნები, ტყავზე, ეტრატსა თუ პერგამენტზე შესრულებული ხელნაწერები. ტვიბერის, მესტიის, ლახაშულას, ქურაშის და სხვა მრავალ სახარებათა უმეტესობა IX-XIII საუკუნეებშია შესრულებული ნიჭიერ და გულმოდგინე კალიგრაფ-მხატვართა მიერ. მათ შორის უძველესი 897 წლით დათარიღებული ადიშის ოთხთავი გახლავთ. ეს ხელნაწერები მაღალმხატვრული, ფაქიზი მინიატურებითაა დამშვენებული.
2. ქრისტიანული ხატწერისა და ჭედურობის უნიკალური ნიმუშები, რომლებიც ერთ-ერთმა პირველმა, გიორგი ჩუბინაშვილმა აღწერა. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე დაცულ ჭედურობებსა თუ მათგან შემორჩენილ ფრაგმენტებში ზოგადქართული ოქრომჭედლობისათვის დამახასიათებელი ნიშნებია მოცემული, სვანური სკოლის ექსპონატები მაინც ინდივიდუალური და რამდენადმე განსხვავებულია. ეს გახლავთ ოქროთი, სევადით, თუ ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ჭედურობა. ხატების და ჯვრების უმეტესობა შესრულებულია დაბალი ბარელიეფის მქონე მოოქრული ვერცხლის უთხელესი ფირფიტებით. გ. ჩუბინაშვილი მიუთითებს, რომ «ზემო სვანეთში შემონახულ ზოგიერთ ხატში ძირითადი ნაწილების, სიუჟეტური გამოსახულების მოოქერა ამ ნაწილის გამაგრების სურვილით აიხსნება». საერთოდ, სვანურ ოქრომჭედლობაში, პლასტიკურთან ერთად, შინაარსობრივი და დეკორატიული ამოცანების უპირატესობა იჩენს თავს. ასევე –ფიგურის გამოსახვის ერთგვარი პრიმიტივიზმი, რაც ხატს გულისა-მაჩუყებელსა და მახლობელს ხდის. მაგ. სოფ. ლაბეჭინას ორი ხატი –ტახტზე მჯდომარე ღვთისმშობელი ყრმით და წმინდა გიორგის გამოსახულება, ადრეული შუა საუკუნეების ხელოვნების უფაქიზესი ნიმუშებია. სვანურ ოქრომჭედლობაში იგრძნობა ქრისტიანული აზროვნების სიღრმეები და გამოიყოფა საყვარელი რელიგიური თემები – მთავარანგელოზები, ქართულ მითიანეთში განსაკუთრებით გავრცელებული, როგორც ვაჟთა გამამრავლებელი, განმკურნებელი ძალის მატარებელი; მებრძოლი წმინდა მხედრები: გიორგი და თევდორე–ბოროტ ძალთაგან მფარველნი (ლაგურკა, იფხი, ფარი, ნაკიფარი და სხვა. სვანეთის თითქმის ყველა ეკლესიაში ინახებოდა ხსენებულ წმინდა მოწამეთა გამოსახულებანი); წმინდა კვირიკეს გამოსახულებანი–მათი უმეტესობა XI საუკუნეს მიეკუთვნება. და საყურადღებო და მნიშვნელოვანია ჭედური, საკუთხეველის, თუ სხვა დანიშნულების დიდი ზომის ჯვრები, რომლებიც დახვეწილი კომპოზიციითა და დეკორით გამოირჩევა. ხატებს უხვად ახლავს წარწერები შემწირველთა თუ ოსტატთა სახელებით, ისტორიული თუ რელიგიური მნიშვნელობის მატარებელი ინფორმაციით.
3. განძეულის გამორჩეული ნაწილია საქართველოს ბედშავი ისტორიის თანმხლები, გმირობის თუ დამარცხ-



ების მომსწრე უძველესი დროშები –განსხვავებული ფორმისა და შინაარსის, მრავალ ასოციაციასა და შეგრძნებას რომ ბადებენ. ამ დროშებთან მიახლებისას ისტორიული მეხსიერების განცდა მძაფრდება. მათ შორისაა «ლემ»–ად წოდებული სვანეთის დროშა, რომელიც საჭიროების ჟამს მთელს კუთხეს თავისი ძალაუფლების ქვეშ აერთიანებდა საბრძოლველად.

4. ნუმიზმატიკური ექსპონატები და საერო მოხმარების საგნები; სხვადასხვა დროის, ბერძნული, რომაული, არაბული, ბიზანტიური, სპარსული და სხვა ქვეყნების ოქროსა და ვერცხლის მონეტები, რომელთა შორის I საუკუნის კოლხური ოქრო ერთ-ერთი უძველესია. მონეტების უმრავლესობას შუა საუკუნეების ქართული ფული შეადგენს.

საერო საგნებს შორისაა თასები, სურები, შანდლები, რომლებსაც ზშირად მფლობელის სახელიც ამშვენებს. მათ შორისაა გიორგი მესამის უნიკალური ვერცხლის სურა, ოქროს ხანის ოსტატთა შეუდარებელი ნამუშევრები, რომლებზეც შეიძლება ამოიკითხოთ: «მეფეთა მეფე ალექსანდრე», «მეფეთა მეფე ბაგრატი» და ა.შ. ამ ნივთების ნახვისას, უნებურად წარმოგიდგებათ ქართველ წარჩინებულთა ყოფის გარკვეულწილად ინტიმური სურათი და ამიტომ მთელი ეს კოლექცია სენტიმენტალური განწყობის მატარებელია.

აღსანიშნავია, რომ საერო მოხმარების საგნებს შორისაა უცხო ქვეყნიდან შემოტანილი ჭედურობებიც, მაგ. შუა საუკუნეების, გერმანული ვერცხლის კათხა, სპარსული სურა და ა. შ.

ამჟამად, განძეული შეგიძლიათ, მესტიის მხარეთმცოდნეობისა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმებში იხილოთ.

რაც უფრო მეტს გაიგებ, სვანეთის შესახებ, მით მეტად ხედები, რომ იგი ერთი დიდი სიმბოლოა. სიმბოლოა მისი კავკასიონი, მისი კოშკებიც, განძიცა და ადამიანებიც – მწირი მიწისა და უსაშველოდ ხანგრძლივი ჩაკეტილი ზამთრის პირობებში ათასწლეულები რომ გაუტარებიათ. ამ სიმბოლოთა აუხსნელობას მაშინაც კი იგრძნობ, როცა მზის სადიდებელი «ლილე» ან სვანური სამგლოვიაო მრავალხმიანი თუნდაც შორიდან მოგესმება. სიმბოლოთა ახსნა გრძელდება და, როგორც ილია იტყოდა, «თუ საქართველო ოდნავ მაინც გიყვართ, სვანეთში უნდა წახვიდით.»

ვინ გააგებულეს საცაბთუელთს ისცბბბბბ



გაბრიელ დავლაშერიძე, დაიბადა 2013 წლის 29 მაისს, დედა ხათუნა მერებაშვილი, მამა ნიკოლოზ დავლაშერიძე.



ლაზარე მანძულაშვილი, დაიბადა 2011 წლის 11 ნოემბერს, დედა ნანა სურამელი, მამა დავით მანძულაშვილი.



მარიამ ახლოური, დაიბადა 2007 წლის 26 ივლისს, დედა მაია ტყემალაძე, მამა ზურაბ ახლოური.



ნინო ზუციშვილი, დაიბადა 2009 წლის 8 ივნისს, დედა ნათია ბერიკაშვილი, მამა დავით ზუციშვილი.

„ახალი განთიადი“ დღიდან ბთაჲჲჲჲჲჲ ახალ რუბრიკას „პატრიარქის ნათლულები“. ჩვენს მკითხველს გვინდა გავაცნოთ ქაისის მუნიციპალიტეტში დაბადებული უმცირესისა და უნაბარისის ილია მამრის ნათლულები...

„ქართველი ერი დღევანდელი სამყაროს ერთ-ერთი უხუცესი არია. ქართველობა არც პროფესიაა, არც თანამდებობა, არამედ იგი ღმერთის მიერ დაკისრებული მოვალეობაა,“ – ბრძანა ერთხელ საჯარო გამოსვლისას საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ.

სწორედაც, „ღვთისმშობლის წილხედობით“ ქვეყანაში არც თუ ისე სახარბიელო რეალობას აფიქსირებენ დემოგრაფები და მათივე მტკიცებით 2050 წლისათვის საქართველოში შესაძლებელია მოსახლეობის რაოდენობა მილიონით შემცირდეს. არადა, ამ რამდენიმე წლის წინ როგორც იტყვიან, ბრძნული, ამავე დროს ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება დაუპირისპირა მოახლოებულ „საფრთხეს“ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, როდესაც ქვეყნის მასშტაბით ყოველ ოჯახში დაბადებული მესამე შვილის ნათლობა „იტვირთა“.

უწმინდესის და უნეტარესის ეს შორსმჭვრეტელობა, მამულიშვილური მოწოდება სრულიად საქართველომ აიტაცა და მალე პატრიარქის ნათლულთა რაოდენობამ სამი ათასს გადააჭარბა...

საქართველოში ახლა ალბათ, არ დარჩენილა ქალაქი, სოფელი, მხარე, სადაც მისი უწმინდესობის, პატრიარქის გულისთქმას არ მიეღწიოს...

მაშ ასე, პატრიარქის ჩვენებური ნათლულები:




საბა ხაჩიძე, დაიბადა 2008 წლის 14 დეკემბერს, დედა ნინო წითურაული, მამა მიხეილ ხაჩიძე.



ბარბარე მამულაშვილი, დაიბადა 2013 წლის 7 მაისს, დედა ლალი ღვინიაშვილი, მამა მამუკა მამულაშვილი.




ანდრია ტყემალაძე, დაიბადა 2007 წლის 29 იანვარს, დედა ხათუნა ტყემალაძე, მამა გიორგი ტყემალაძე.



ანა თათრიშვილი, დაიბადა 2011 წლის 17 მაისს, დედა ნინო ზაქარაშვილი, მამა დიმიტრი თათრიშვილი.

პატრიარქის ნათლულების სიას, რა თქმა უნდა, მომდევნო ნომრის გამოცემაში გავაგრძელებთ. გუნაგრძელოთ, თუ ამის სურვილი თქვენს გეგმაშია. გამოგვხვდებით და მოგვანოლათ მონათლულები.

80 წელი იქცენს გვერდით გამოცემაში „ახალი განთიადი“!



„ახალი განთიადი“, თანაუბრძოლას რიგა ზურაბიანს დედის ზოია ზურაბიანის გარდაცვალების გამო

გალა კოპიაშვილი და დალი კოპიაშვილი თანაუბრძოლას რიგა ზურაბიანს დედის ზოია ზურაბიანის გარდაცვალებას.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამოცემალოგა „ქოლორში“

რედაქცია სელექციონირებს თავისუფალი პრესის პრინციპებით. სტაჲიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოგანილი შეაგებოს სიზუსტე პასუხისმგებელია ავტორი. სარედაქციო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს. რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერაბიშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასანი სააჲაჲის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76